სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №1107/03-22

(CPV 50323100 - გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი 11 ივლისი 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ აბაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს "ინკო" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის პაატა მაღლაკელიძის სახით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;

1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

სხვადასხვა ტიპის პრინტერის კარტრიჯის აღდგენის (დამუხტვის) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 . ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 848,00 (რვაას ორმოცდარვა ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება

4.1. მომსახურება - სხვადასხვა სახის პრინტერის კარტრიჯების აღდგენის (დამუხტვის) ფასები მოცემულია დანართი N1 – ის სახით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების გაწევის შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების გაწევას შემსყიდველის მხრიდან

პრინტერების კარტრიჯების ეტაპობრივად ან ერთად მიწოდებიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი) სამუშაო დღეში.**
6.3. აღდგენილ კარტრიჯებს უნდა გააჩნდეთ დამცავი ლენტი (ტრანსპორტირებისას ფხვნილის კარტრიჯიდან გადმოყრის თავიდან ასაცილებლად), შეფუთული უნდა იყოს უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი შეფუთვით.
6.4. ყველა აღდგენილ კარტრიჯს უნდა მოყვებოდეს აღდგენის შემდგომ კარტრიჯის ტესტირების ფურცელი. შესრულების ხარისხის კონტროლი განხორციელდება როგორც ტესტირების ფურცლის, ასევე შერჩევითი კარტრიჯის შესაბამის მოწყობილობის მეშვეობით ტესტირების გზით.
6.5. მომსახურების გასაწევად, პრეტენდენტი უნდა ფლობდეს სპეციალურ მოწყობილობებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურებას სათანადო დონეზე.

7. სტანდარტები და გარანტია
7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.
7.2. აღდგენილ კარტრიჯებზე კარტრიჯის სრულ დაცლამდე ვრცელდება გარანტია. შემსყიდველის მიერ შემოწმდება მომწოდებლის მიერ აღდგენილი ყველა კარტრიჯის ამონაბეჭდის ხარისხი, ასევე მოწოდებული კარტრიჯის რესურსის შესაბამისობა. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩენილი იქნა რაიმე სახის ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს წუნდებული კარტრიჯი ახლით, ხარვეზის დადგენიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.
7.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
7.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა გავლენას არ ახდენს მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებებზე.

8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები
8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
8.1.2. მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.2.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი
9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელების შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს კომისიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი ლაშა ვაშაკიძე.
9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილება ენიჭება კომისიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტს ლაშა ვაშაკიძეს.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.2. მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
11.6. ამ მუხლის 11.5. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

12. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა
12.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
12.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე.

13. გადასახადები და დაბეგვრა
მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. დაუძლეველი ძალა
14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.
14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება
შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი:**
სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18 საიდ. კოდი: 204953050 სს ,,თი ბი სი ბანკი" ა/ა: GE11TB0600000000609326	**შპს „ინკო"** მისამართი: ქ. თბილისი, ს. ზაქარიაძის 12 საიდ. კოდი: 205189142 ს/ს "თიბისი ბანკი" ა/ა: GE83TB7163436020100004
ვახტანგ აბაშიძე კომისიის თავმჯდომარის მ.შ	პაატა მაღლაკელიძე დირექტორი

დანართი N1

კარტრიჯის გადამუხტვა	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	სულ ღირებულება
HP CF226A ტიპის კარტრიჯის აღდგენა	3	20	60
Samsung MLT-D115L ტიპის კარტრიჯის აღდგენა	2	24	48
HP CE278A ტიპის კარტრიჯის აღდგენა	3	16	48
HP CE285A ტიპის კარტრიჯის აღდგენა	4	16	64
HP Q2612A ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	16	16
HP CF540A (Black) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
HP CF541A (Cyan) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
HP CF542A (Yellow) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
HP CF543A (Magenta) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	2	68	136
HP CB540A (Black) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
HP CB541A (Cyan) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
HP CB542A (Yellow) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
HP CFB43A (Magenta) ტიპის კარტრიჯის აღდგენა	1	68	68
		სულ ჯამი:	848

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საიდ. კოდი: 204953050
სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა: GE11TB0600000000609326

ვახტანგ აბაშიძე
კომისიის თავმჯდომარის მ.შ

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2022.07.11 13:59:21 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „ინკო"
მისამართი: ქ. თბილისი, ს. ზაქარიაძის 12
საიდ. კოდი: 205189142
ს/ს "თიბისი ბანკი"
ა/ა: GE83TB7163436020100004

პაატა მაღლაკელიძე
დირექტორი

Paata Maglakelidze
Digitally signed by Paata Maglakelidze
Date: 2022.07.11 14:24:15 +04'00'